

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების  
ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციონერებს

7.09.2022 წ.

გაცნობებთ, რომ **2022 წლის 30 სექტემბერს** 12:00 საათზე აუდიო/ვიდეო საკონფერენციო ზარის საშუალებით ჩატარდება სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (ს/წ 204935400) (იურიდიული მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74ა, შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. დეპოზიტარის 2021 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება;
2. დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილების/არჩევის შესახებ;
3. დეპოზიტარის 2022 წლის ფინანსური აუდიტის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) ჩასატარებლად აუდიტორული კომპანიის არჩევის შესახებ.

ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია **2022 წლის 12 სექტემბერი**. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

წინამდებარე დღის წესრიგი და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გამოქვეყნებულია მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ცენტრალური დეპოზიტარის ვებ-გვერდზე ([www.gcsd.ge](http://www.gcsd.ge)).

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქციონერს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, შეგვიძლია შემოგთავაზოთ კრებაში მონაწილეობის ორი ვარიანტი:

- ა) აქციონერები დროებით მივიდნენ ისეთ ადგილას, სადაც ექნებათ ინტერნეტთან წვდომა (მაგალითად რომელიმე სხვა აქციონერთან); ან
- ბ) წინასწარ მოგვწერონ ელ. ფოსტის მისამართზე [epeevski@gcsd.ge](mailto:epeevski@gcsd.ge), როგორ სურთ ხმის მიცემა დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. მათი სურვილი გაცხადებული იქნება კენჭისყრის დროს და აისახება კრების ოქმში.

კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, 10:00-დან 17:30 საათამდე, ცენტრალური დეპოზიტარის აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, შეგიძლიათ

შეამოწმეთ კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება, რისთვისაც რეგისტრატორში ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გამოაგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე info@kavkasreestri.ge.

- აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
- წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.
- ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

2022 წლის 30 სექტემბერს, 11:00 საათამდე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა პირადად უნდა გაიაროს დისტანციურად რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად, რისთვისაც აქციონერმა (ფიზიკურმა პირმა) ელექტრონულად (დასკანერებული სახით) უნდა გამოაგზავნოს თავისი პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა, ან მისმა მინდობილმა პირმა - პირადობის მოწმობის/პასპორტის და (საჭიროებისას) შესაბამისი მინდობილობის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე epeevski@gcsd.ge. ამავედროულად ვიდეო ზარის მეშვეობით მოხდება კრებაში მონაწილე პირის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია, რასაც უზრუნველყოფს ბირჟის შესაბამისი თანამშრომელი.

აუდიო-ვიდეო ზარის დეტალები (ინტერნეტზე შესაბამისი ბმული და პაროლი) მოგეწოდებათ კრებამდე რამდენიმე დღით ადრე ელ. ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით.

პატივისცემით,

ევგენი პეევსკი

გენერალური დირექტორი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“  
სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის  
რეკომენდაციები დღის წესრიგთან დაკავშირებით

**1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

**რეკომენდაცია:**

დამტკიცდეს ცენტრალური დეპოზიტარის 2021 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებები.

მოწონებულ იქნას დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობა.

**2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:**

**რეკომენდაცია:**

დაკმაყოფილდეს გიორგი ფარესიშვილის (პ/ნ 01024002732) განცხადება სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან გასვლისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციის დატოვების შესახებ.

საერთო კრებაზე დასახელდეს დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა და შეირჩეს საბჭოს ახალი წევრები.

**3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:**

**რეკომენდაცია:**

დეპოზიტარის 2022 წლის ფინანსური აუდიტის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „მორი ეიბისი“ (ს/ნ 206331691).